ვახტანგ ჯანგოტაძე

როკვა

გვარ-სახელებით

გორი • 2025

წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი დახმარებისთვის ავტორი
უღრმეს მადლობას მოახსენებს ცნობილ ქველმოქმედებს:
ვალერი სუხიშვილს და იოსებ (სოსო) მაკრახიძეს.

რედაქტორი

ა. ბიძინაშვილი

კორექტორი

ს. მექვაბიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

შ. მურადაშვილი

წინათქმა

ძვირფასო და საყვარელო მკითხველო, გთხოვთ, აღიჭურვოთ მოთმინებით და იმავდროულად, მეგობრული კრიტიკული პოზიციებიდან გამომდინარემ, ყურადღებით წაიკითხოთ ხანდაზმული ავტორის ნაჯახირები, იმ მიზნით, რომ, იქნებ, სასარგებლო აღმოჩნდეს რამ, რასაც ლიტერატურულ სფეროში მოღვაწე ადამიანები გამოიყენებენ თავიანთ საქმიანობაში.

მინდა, ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ, თუ რა მიზანს ემსახურება ეს წიგნი.

ჩემი აზრით, ეს წიგნი წარმოადგენს ტვინისა და მეტყველების ჭყლეტა-წვალების ერთგვარ ხერხს, რამაც შეიძლება გააადვილოს რითმის, ტაქტისა და რიტმის შერჩევა-დახვეწის პროცესი, თუნდაც დამწყები და ნაკლებადგამოცდილი პოეტებისთვის.

ცნობილია, რომ ლექსის ჟღერადობა, ე.წ. მუსიკალურობა და სმენადობა ბევრადაა (თუ მთავარი არ არის) დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება ლექსში გამოყენებული რიტმი (ტაქტი) და გასარითმავი სიტყვების ასო-ბგერების კომპლექსები.

თუ გვინდა, რომ (როგორც იტყვიან ხოლმე) ლექსის ჟღერადობა ნაკადულის ხმიანობას მოგვაგონებდეს – დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სწორედაც რომ, როგორც რითმას, ისე რიტმს (ტაქტს).

გვარები და სახელები რომ უამრავია – ეს კარგად მოგეხსენებათ. ამ წიგნში გამოყენებულია ოთხასამდე გვარი და სახელი (ერთად).

შიგადაშიგ, რომ იტყვიან, გამეპარა, რამდენიმე ე.წ. სხარტული, რომლებშიც არ არის გამოყენებული არც გვარი და არც სახელი (დაახლოებით 10-12). იმედი მაქვს, მაპატიებთ.

სახელები და გვარები ძირითადად ტაეპის ბოლოშია, ათიოდე შემთხვევის გარდა.

ბევრი ვიფიქრე, თუ რა მიმდევრობით დამელაგებინა ე.წ. სხარტულები. შეიძლებოდა რიტმის მიხედვით, შეიძლებოდა თემატიკით, ან ეროვნულობით და ა.შ.

შევჩერდი ტრადიციულ „ალფაბიტზე“, მაგრამ აქაც არის პატარა ნიუანსი – მოგვიწევს მიყოლებით სხვადასხვა რიტმის მქონე ტაეპების წაკითხვა, რაც გარკვეულად (უარყოფითად) ზემოქმედებს ლექსის ჟღერადობის აღქმაზე, ქმნის გარკვეულ დისონანსს.

ასეა თუ ისე, როგორც იტყვიან, ფაქტი სახეზეა; წიგნი ხელში გიჭირავთ და... დანარჩენი თქვენ იცით.

მადლობას მოგახსენებთ წაკითხვისათვის. იმედია, მაპატიებთ, თუ რამ „შევცოდე“.

პატივისცემით ავტორი

ყურს უგდებენ **არსაკიძეს,**
ხოტბას როგორ **ასხამს ნინძებს**.

წესის დარღვევა დაუდგინეს **ამბარცუმიანს,**
ჯარიმის სახით წაჰგლეჯავენ **ალბათ თუმნიანს**.

ურემონტებენ **ამბარცუმიანს,**
უკვე კარგა ხნის **ამბარს, წუნიანს**.

ტაშს არ უკრავენ **ამბარცუმიანს,**
მის მოხსენებას **ალბათ წუნი აქვს**.

ასე ფიქრობენ – **ალექსი არი**
ყველაზე უფრო **ალერსიანი**.

დღეს ვუთმობთ კლუბის **ამ სცენას** –
ჩვენთვის საყვარელ **არსენას**.



გვწამს ძალოსანი **ალავიძე,**
არ არის ნაკლები **არავისზე**.

სამუშაოდ წაიყვანეს **აგული,**
აზიდინეს ათასობით **აგური**.

შეამჩნიეს **არაბიძეს**,
ზედმეტ ნაბიჯს **არ აბიჯებს**.

შეფმზარეულმა ხმას აუწია,
არ მიწყენინოთ **ამაშუკელი**,
თუ გსურთ, შესრულდეს ასე ფუნქცია,
იმას უმატე, **ამას უკელი**.

რაც გააჩნდა სულ გაყიდა **აგრაფინამ**,
აღარა აქვს აღარც ბაღი, **აღარც ბინა**.

ლოცვების სწამს **აფრასიონს**,
მიაკითხა **ახლა სიონს**.*

გამოცდისთვის **ალექსანდრეს**
პროფესორი **სამ დღეს აძლევს**.

ღვაწლს უქებენ **არავიძეს**,
ხან ორ რძალს და **ხან რვა სიძეს**.

* სიონი – ეკლესია.

წყალს ასხამს **ბაღათურია**,
იქ მიაქვს, **სადაც სწყურიათ.**

გარდაიცვალა **ბოლოთაშვილი**,
მრავალთან ერთად, **გლოვობს რვა შვილი**.

კომფორტს ვერა გრძნობს **ბიძინა**,
აგინებს, მისცა **ვინც ბინა**.

ეკატერინე **ბოლქვაძე**,
პოლიტელფერის **ბოლს აფრქვევს**.

ხედავს ონორე **ბალზაკი***,
გემოს უსინჯავს **ბალს ზაქი**.

დარდი აწუხებთ **ბარძიმაშვილებს**,
არ დაეკარგოთ **განძი მათ შვილებს**.

ანტონიო **ბარაკიმ****
წაიკითხა **არაკი.**



წუწკი **ზაურ ბერია**,
სოკოს **გაუბერია**.

---

* ბალზაკი – ფრანგი მწერალი.
** ბარაკი – ჩეხი ფეხბურთელი.

არსენას უცქერს **ბასიშვილი**,
ნატრულობს ჰყავდეს **მსგავსი შვილი**.



სამუშაოდ **ბერბიჭაძე**
განამწესეს **გვერდით ჭაზე**.

უკვირს ტრისტან **ბოგველაძეს**,
მის საქციელს **გმობენ რაზე**?!

შეახსენეს **ბარათაშვილს**,
უსურვეო **ბარაქა შვილს**.

რად უარჰყვეს **ბოტვინიკი***,
ვერ გებულობს **მოტივს ნიკი**.

ღირსი კაცია **ბიძინაშვილი**,
მის ნაკვალევზე **მირბის ცხრა შვილი**.

გალა კონცერტს ვერ დაესწრო **ბუჩუკური**,
ძველებურად წამოსტკივდა **ნუთუ ყური**?!

მოგვიწოდებს **ბუჩუკური**,
რომ ვიაროთ **სულ შუქურით**.

---

* ბოტვინიკი – მოჭადრაკე (მსოფლიო ჩემპიონი).

ვალს მპატიობს **ბარდავაძე**,
ფულის ნაცვლად **ბარდას ვაძლევ**.

მძლეოსანი **ბალავაძე**,
ძლივს გადახტა **გალავანზე**.

კომპოზიტორი **ჟორჟ ბიზე**,
ლანძღვის არ მოგცემს **ორ მიზეზს**.

ვერ გებულობს **ბენაშვილი**,
ამდენს როგორ **ბედავს შვილი**.

სიმაღლეს ებრძვის **ბრუმელი***,
არ მოსწონს ცაზე **ღრუბელი**.

აგვიანებს ლაბორანტი **ბოტკოველი**,
მას საკვლევად სულ ახალი **ბოჭკო ელის**.

ვერ ეწევა **ბართიშვილი**,
ხედავს სწრაფად **დარბის შვილი**.

ეჩურჩულება თავის სატრფოს **ბაში-აჩუკი**,
აქ ყველგან ბნელა, გაიხედე, **ბაღშია შუქი**.

კოტე ნანობს, რომ ასესხა **შარშან ფული**,
იმის შემდეგ არ უნახავს **ბაშარული**.

---

* ბრუმელი – სიმაღლეზე მხტომელი.

ᲒᲣ

ქორწილია **გურიელის**,
ზღვა სიხარულს **გული ელის**.

ყველას მოსწონს იზაბელა **გავაშელი**,
მინარნარებს, საოცარი **გავა ჰშვენის**.

საჩივარით იუწყება **გახელაძე,**
რომ მავანმა მოუმზადა **მახე გზაზე.**

მდინარის პირას **გარაყანიძე**,
ბინოკლით უცქერს **გაღმა ყანის ძნებს.**

დაიქირავეს **გრიშიკაშვილი**,
ქვიშა შეკრიფოს **თხრილში გაშლილი**.

თავის აზრებს წერს **გამსახურდია,**
სხვისი მოირგოს, **განა ქურდია**?!

მოხდენილია **ანა გიგანი**,
რის სიმაღლე და **ანდა რის** **განი**?!

საომრად მიდის **გუჯეჯიანი**,
უბეში დროშა **უდევს ჯვრიანი**.

გზა დაულოცეს **ლიზი გვილავას**,
ამერიკაში **ვიზით მიმავალს**.

კომედიის ჟანრის ოსტატ **გულიაშვილს**,
რახანია მოელიან **გურიაში**.

ამბობს **გიორგობიანი**,
უყვარს **გიოს „ლობიანი“**.

გალაკტიონმა **დაწერა**,
არ შემიძლია **სხვა წერა**.

ბიჭიკო **გამსახურდიას,**
ძმობისთვის **მართლაც ზურგი აქვს**.

ოდრი **გამსახურდია**,
ცოდნის **მართლაც ქურდია**.

გადაირია **გურასპაშვილი**,
როგორა ჰყავსო **შურას რვა შვილი**.

ბევრს ეძებდა **გიორგაძე**,
ვერ იპოვა **გიო გზაზე.**

მეუღლე ხარობს **გურასპაშვილის**,
რომ აღუზარდა **გურამს ცხრა შვილი**.

შეარჩიეს **გვარდიოლი**,
ითამაშოს **განდის* როლი**.

ზარმაცია ფეხბურთელი **გატუზო**,
კარის უკან, ძელთან უნდა **ატუზო**.

მოწყურებული **გოგიტა**,
ცივ ღვინოს ასხამს **დოქიდან**.

ჩვენთვის ამაყო **გოძიაშვილო**,
ერთხელ კიდევ სთქვი – **„მოდი აქ, შვილო“**.

კრუხ-წიწილას **ეძებს ქორი**,
თოფს იმარჯვებს **გეგეჭკორი**.

უხარია **გოდერძის**,
მისი შვილი **მოდელს ზრდის**.

ალექსანდრე **გარდაფხაძე**,
ღიღინებდა **დაბალ ხმაზე**.

გაღიზიანდა **გრიშიკაშვილი**,
„რუსეთუმესთან“ **ბიძის კავშირით**.

---

* განდი – ინდოეთის ყოფილი პრემიერი.

კმაყოფილია **გერონტი,**
პატარა ბინის **რემონტით**.

კვლავ აღმერთებს მუსიკოსი **გერასიმე,**
ეროვნული მოტივებით **ულერად სიმებს.**

კარგად იცის სანიკიძე **გუბაზმა,**
იყოს პოლიტბრძოლისათვის **მუდამ მზად.**

ემზადება **გურიელი***,
გადამწყვეტი **ტური ელის**.

მიტოს ახსენებს **გუბერნატორი** –
პატარობაში **გუბეს ნატრობდი**.

როდესაც გაიგო, რომ ჰყავს **ბოზი და,**
ავიდა, გადმოხტა მაღალი **ბოძიდან**.

* გურიელი – მოჭადრაკე.

დანიის პრინცი **დასენი**,
ყოფილა დიდი **დამსმენი**.

იმოძღვრება **დარეჯანი**,
მიღწევა გსურს – **დადე ჯანი**.

დენდროლოგი **დაგნარი**,
ხარობს თავის **ბაღნარით**.

ტანის ზომით **დანელია**,
ხუთი-ექვსი **მტკაველია**.

ისე მოგვაკლდა **ბიკენტი დვალი**,
რომ ვერ დატოვა **დიდების კვალი**.

გამოლანძღეს **დარჯანია**,
რადგან კარი **დარჩა ღია**.

ცდილობს შალვა **დადიანი**,
არვინ იყოს **დარდიანი**.

იზეიმა **დარბაიძემ**
გაახარეს **დამ და სიძემ**.

მკითხველმა იცის ზაალ **დარგალი**,
არც მაღალია და არც **დაბალი.**

ნიჭიერია ზაალ **დარგალი**,
თუმცა, არ იცის, რაა **ფარგალი.**

გული სტკივა **დარჯანიას**,
რაც იშოვა, **დარჩა ნიავს**.

ისევ ქურდობს, ისევ ცრუობს **დარჯანია**
და ამიტომ სამუდამოდ **დასჯადია**.

უიღბლო იყო **დევდარიანი**,
მის ყოველ ნაბიჯს **სდევდა ზიანი**.

ნამორაძე **დოდონა**
ბნრწყინვალეა **გოგონა**.

გვახსოვს ცოტნე **დადიანი**,
ის სამშობლოს **დარდი არი.**

ფიქრი სტანჯავს **დალაქიშვილს**,
დაუტოვოს **მარაგი შვილს**.



ასე უხმობენ **დელიბის**,
ლიდერიაო **„დ“ ლიგის**.

ბევრი ძებნეს, ვერ იპოვეს **დანტეს მტერი**,
დასამალად რომ ირჩია **მანჩესტერი**.

დიდი ხათრი აქვთ **გაგა დრაევის**,
ნათესავია **გაბარაევის**.

ე

მკვახედ მეტყველ **ერმილეს**,
სთხოვენ ოდნავ **შერბილდეს.**

განაწყენდა სტუმრად მყოფი **ერშოვი**,
ვერა ნახა ვერც ბორჯომი, **ვერც შოვი**.

მომღერალია **ელეონორა**,
გამუდმებით რომ **ეძებს ჰონორარს**.

მრავალმხრივია **ელისაბედი**,
კვესიც* იცის და **ესმის აბედიც****.

კურორტზე არის **ელისაბედი**,
საუზმე ჭამა, **ელის „აბედი“**.



სინდიკატი **„ერიბარი“**,
მფლობელია **ბევრი ბარის**.

მარტოდ შრომობს **ერიბარი**,
სულ აქვს რადგან **ერთი ბარი**.

ომაძე და **ეგაძე**,
ერთად იდგნენ **ერთ გზაზე**.

---

* კვესი - მეტალის ნაჭერი ნაპერწკლის გასაჩენად, კაჟზე ჩამოკვრით.
** აბედი - ხის ერთგვარი სოკო, ადვილად ეკიდება ცეცხლი.

შრომობს ორი **ეკალაძე,**
არ ტოვებენ **ეკალს გზაზე**.

ძლივს გაიგო **ელბაქიძემ,**
რომ გოგოს ქმარს **ერქვა სიძე**.

ისარი მიდის **თერთმეტისაკენ**,
აბესალომი* **ეთერისაკენ***.

სულ მოგვიწოდებს **ეკატერინე**:
„ვარდს მოეფერეთ, **ეკალს ერიდეთ**“.

ტაშს უკრავენ **ენუქიძეს**,
უმადლოდეს **ქებულ ბიძებს**.

ყვირის ეკა **ერმაკოვი**,
გაუძლოო **ერმა კოვიდს****.

სადგურში დახვდა ხალხი **ეივეს*****
და პრიზთან ერთად მხრებზე **შეისვეს**.

ჩვენო **ეკატერინე**,
ტყეში **ეკალს ერიდე**.

ბაზარს ეწვია **ელიკო,**
მაისის თბილი **თვე იყო**.

---

* აბესალომი, ეთერი - ფალიაშვილის ოპერის პერსონაჟები.
** კოვიდი - ინფექციური დაავადება.
*** ეივე - მოჭადრაკე (მსოფლიო ჩემპიონი).

ვ

არ მიიღეს **ვაკუნა***,
თუმც ბევრი **აკაკუნა**.

ვერ გებულობს **ვასილისა**,
დამკვეთებს სურს **ასლი რისა**?

შეაწუხა ექიმები **ძახილით**:
„მომიტანეღთ ჩემი სარგო **ბახილი****.

კითხულობენ – **ვენერა**,
გათხოვდა თუ **ჯერ ვერა**.

პოლიკარპე **ვახანია**,
სარძლოს ეძებს **რახანია**.

ტვირთი მიაქვს **ვაშაკიძეს,**
კოხტა ხურჯინს **მაშას ჰკიდებს**.

ტყვედ აყვანილი დაჩი **ვაშაძე,**
ვერ აიძულეს აქოს **ფაშას მზე**.

ყოველი წლის შემოდგომით **ვაჭარიძე**,
კასპში ჩადის, ოჯახისთვის **მაჭარს იძენს**.

ითქვა შემდეგ, რაც სცნეს **„ვეფხისტყაოსანი“**,
მსგავს საუნჯეს ვიცით **ვერ ქმნის სხვა მგოსანი**.

---

* ვაკუნა – მოსავლიანობის ქალღმერთი.
** ბახილი - ფეხსაცმელი საავადმყოფოში.

მთავარი დასკვნა **ვოროშილოვის**,
რომ წარმატება **ბოლოში მოდის**.

იხვეწება **ვასილი,**
მიუტანონ **სხვა ხილი**.

ფულის შეკრეფას იწყებს **ვასილი**,
სურს შეიძინოს კარგი **მარხილი**.

ტანად აყრილი **ვარდოსანიძე**,
გახდა მკითხავი **ვარდოს სამიზნე**.

ამაოდ გიყვარს **ვერდი**,*
არ დაგიყენებს **გვერდით**.

ასაკოვან **ვანიძეს**,
კარგად ახსოვს **ვანის**** **მზე**.

ნარდსა თამაშობს **ვიქტორი**,
მეტოქეს უცქერს, **ვით ქორი**.

მომღერალს უსმენს **ვახტანგი**,
ხან ტემბრი მოსწონს, **ხან – ჰანგი**.

ფანჯრიდან ხედავს **მტრედებს ვიქტორი**,
თავდასხმის მომენტს **ეძებს ვით ქორი.**

---

* ვერდი - იტალიელი კომპოზიტორი.
** ვანი - ქალაქი.

ზ

სულ ტრაბახობს **ზევქსიპე,***
ხეივანი **შევსხიპე**.

ისვენებდა ზღვისპირეთში **ზაური**,
კარგად ნახა, თუ რა იყო **ზღვაური**.

სურთ იხილონ **ზინაიდა**,
მომხიბვლელი **წინა მხრიდან**.

სართიჭალელ **ზურაბის**,
მოთხოვნა აქვს **მურაბის.**

კომიკოსობს **ზაქარა**,
ჩერჩეტი და **თავქარა.**

მდინარეზე „დაბლატაობს“ **ზეინაბი**,
ბევრს ეწვალა, ვერ აცურა **ზევით ნავით**.

რაღაცა ხმის ეშინია **ზარქუას,**
ასეთი ხმა ოლიგარქის **ზარს თუ აქვს**.

მიწა მისცეს **ზერეკიძეს**,
სულ ახლოა **ვერეს** კიდე**.

---

* ზევქსიპე - მითოლოგიური პერსონაჟი.
** ვერე - მდინარე და უბანი თბილისში.

სტუმრად იყო აფრიკაში **ზანგურიძე**,
მოსვა, მაგრამ არ ეამა **სხვა ჯურის რძე**.

ფლორის მცოდნეა **ზარდიაშვილი**,
უყვარს ეზოში **ვარდი გაშლილი**.

რას „ჩალიჩობს“ **ზერაგია**,
აივნიდან **ზვერავს გია**.

გაქურდეს და გააკოტრეს **ზარანდია**,
მეზობლები შეიკრიბნენ, **ზარალს თვლიან**.

ამბობენ, რომ დაივიწყა **ზაურმა**,
ყველას აზრით, გემრიელი **ყაურმა**.

წყვილ ფეხსაცმელს **თურმანიძე**,
ჩუმად, სადღაც **თუმნად იძენს**.

იურისტმა **თალაკვაძემ**,
გაგვიყვანა **მთავარ კვალზე**.

სწრაფია ნანა **თორდია**,
როგორც მანქანა **„ფორდია“**.

დენდროლოგი **თეკლე**,
სულ მოხიბლა **ტყე-კლდემ**.

ციებ-ცხელობს **თინათინი**,
იკურნება **ქინაქინით**.

ფილმში იხილეს **თეთრაძე,**
ამხედრებული **თეთრ რაშზე**.

გვიქადაგებს **თათეშვილი**,
„ბლის კრეფაში **ჩართეთ შვილი**“.

სულ ტრაბახობს **თავდგირიძე**,
საქმე მიდის **თავის რიგზე**.

უყვარს **თავაძეს**,
ბჭობა **მთავარზე**.

კვლავ ამაყობს **თამარქალი**,
მეუღლედ ჰყავს **თაბაგარი**.

ულოცავენ **თამარქალს**,
ბედით ხვედრილ **თავად ქმარს.**

მთათუშეთს იყო **თუშმალიშვილი**,
ცოლად ურჩია **თუშმა ძმისშვილი**.

ცოდნით ამაყობს ბონდო **თვაური**,
კამათს უბედავს მხოლოდ **ზაური**.

სიძვას ვერ იტანს **თამარი**,
ფიქრობს, მადლია **მთავარი**.

ულამაზესმა **კამარამ**,
პრიზი არგუნა **თამარას**.

სცენისკენ მიჰქრის **თამარი**,
რადგან გაუწყდა **ქამარი.**

თოფურია **კონსტანტინე**,
მართლაც არის **კოხტა ვინმე**.

ქმრად რომ ერგო **თაბაგარი**,
შეეცვალა **თამარს გვარი**.

გაუკვირდა **თურმანიძეს**,
ჰყვარებია **ხურმა სიძეს**.

დიდხანს ეძებეს მაზლი **თამარის**,
ვერ გაიხსენეს სახლი **სად არის!**

თვალს არ უჯერებს **თანდილა,**
ხან საღამოა, **ხან – დილა.**

ქმარმა დატოვა **თამარა,**
დარჩა ფიქრების **ამარა.**

თამადად ჰყავთ **ინაური**,
ჰჯყვარებია **ინდაური**.

შეიყვარეს პოლიგლოტი **ირემაძე**,
ჭუკჭუკებენ ამ ენაზე, **იმ ენაზე.**

მჭედელია სანაქებო ზურიკელა **იშხნელი**,
სკოლაში რომ ორს უწერდა, ნატრობს მისცენ **ის ხელი**.

შოუს წამყვანი **იმერლიშვილი**,
ცდილობს, აცეკვოს **ისევ დისშვილი**.

ფობია სჭირს **ისაკაძეს**,
კამათის დროს **იცავს კაცებს**.

<u>პაპა შვილიშვილს:</u>
ჩემო კარგო **ირინე**,
რამდენიც გსურს – **ირბინე**.

ნერვიულობს **იანუსი**,*
ქმარი რად ჰყავს **იას რუსი**.

ვინც მოურჩენს **იარებს**,
მას დიდ პატივს **მიაგებს.**

ცხვარს მირეკავს **იაკობი**,
ემუქრება **იას კომბლით**.

---

* იანუსი - მითოლოგიური პერსონაჟები.

დიდ ნადიმზე **ინგოროყვამ**,
შეასრულა **კინტოს როკვა**.

შემოიარა **იამაიკა***,
ვერ შეიძინა **იამ „მაიკა“**.

ღიტოს ვაჟი **ინჯია**,
ღვინის სმაში **დინჯია**.

კრიტიკაზე პასუხს აძლევს ილარიონ **ზარქუა**:
„აბა, ის გზა მე რას მარგებს, სახიფათო **გზა თუა**.

<u>ტირში</u>
წარმატებას ულოცავენ **იაშვილს**,
ყველა ტყვია მოახვედრა **რვიანში**.

მუსიკალურ ცოდნას იძენს **ირემაძე**,
ყველას ატკბობს, როცა მღერის **ივერთ ხმაზე**.

ხარობენ და ზეიმობენ **იუნკრები****
აღარა ჰყავს მათ მეგობარს **იურს მტრები**.

გაეპარათ **იპოლიტე**,
ალბათ სუსტი **იყო კლიტე**.

აცუნცრუკდა **ინგოროყვა**,
ცოლმა ძილში **იგრძნო როკვა**.

---

* იამაიკა - კუნძიულოვანი ქვეყანა.
** იუნკერი - დაბალი სამხედრო წოდება.

ენდე ჭარმაგ **კაპიტანს**,
სამშვიდობოს **გაგიყვანს.**

ინტერესით აკვირდება **კადიროვი**,
როგორ ანცობს მეზობელი **კასრის გორვით**.

ზოოპარკში წაიყვანეს **კუზნეცოვი**,
აქლემის შვილს მიაწება **კუდზე ცომი**.

მოიწვიეს **რაჯ კაპური**,
შეაყვარეს **ხაჭაპური**.

ფიქრობენ, გურამ **კაშია**,
ჩემპიონობის **კვალშია**.

მშენებელმა **კავკასიძემ**,
გაუზომა **კარკასს სიგრძე**.

ექსკურსიების მოყვარულ **კობას**,
გულით ჩუქნიან რუკას და **კომპასს**.

ნატრობს მშრომელი **კახელი**,
ნეტავი ჰქონდეს **ცხრა ხელი**.

აღარ მინდა სიარული, გაიძახის **კუცი***
შემიყვარდა ფეხბურთი და მომიმარჯვეთ **ბუცი**.

გლეხკაცს წარუდგა **კვანტალიანად**,
ჩამოუკრიფა **პანტა მთლიანად**.

---

* კუცი - მსოფლიოში ცნობილი მოსიარულე დიდ დისტანციებზე.

ეზოკარში რემონტი აქვს **კირცხალიას**,
წვიმამ დასცხო, მიატოვა **კირქვა ღიად**.

დიდ მარკეტში ჩანთით შედის **კონცელიძე**,
პურისა და ღვინის გარდა, **კონსერვს იძენს**.

ცნობილ ფეხბურთელ **კაშიას**,
არცა სცივა და **არც შია**.



დაარწმუნეს **კაკაბაძე**,
რომ არ ერჩის **კატა ბარდებს**.

მიანიშნეს **კაკაბაძეს**,
არ დაეძებს **კატა განძებს.**

დილით ადრე **კუპრაძემ**,
წამიყვანა **კუს ტბაზე.**

სუფრისაკენ წაიყვანა **კაშიამ**,
დამორცხვებით ეუბნება – **არ მშია**.

სურვილი აქვს **კალმის სტრატეგს**,
ლექსი უძღვნას **კალისტრატეს**.

სურს რეჟისორ **კირაკოზას**,
შეიცვალოს **კირამ პოზა**.

ძლიერ ურტყამს **კაშია**,
ბურთი ჩილეს **კარშია**.

ასე ფიქრობს **კაციტაძე**,
უნდა სჭექდე **კაცის ხმაზე**.

არვინ იცის **კარერასი***
მიამსგავსეს **კარმენს რაში**?

ვერ იძინებს ნენსი **კაიშაური**,
რადგან ხშირად ესმის **კარის ხმაური**.

გოლი მაშინ გადის **კარგად**,
სანამ **„ტაფა ცხელია“**,
თუ არ მოგწონს ჩემი **ქარგა**,
ჰკითხე **კვარაცხელიას**.

ასე ფიქრობს **კუპრაშვილი**,
სხვაზე მეტად **უყვარს შვილი**.

გულხელ ბარაქა **კაკაურიძე**,
ეზოში ბავშვებს **„კაკას“ ურიგებს**.

შეუყვარდა **კაციტაძეს**,
ის, ვინც უვლის **კასპის ტაძრებს**.

გადაუგდეს **კატას ბურთი**,
ითამაშოს **კალათბურთი**.

---

* კარერასი - მოცეკვავე.

ამაყობდა **კაიზერი**,*
რომ უცქერდნენ **კაი მზერით**.

ჰკითხეს თენგიზ **კოტრიკაძეს**,
თუ რას ერჩის **ქონდრისკაცებს**.

მოჭადრაკე **კარპოვი**,**
მოიხიბლა **ხარკოვით**.

ივლიანე **კახიანი**,
მეომარი **კაცი არი**.

ბედნიერია **კურდღელაშვილი**,
მამულს აჩუქა **უკვე რვა შვილი**.

კასიუსი*** რინგზე იდგა **სამარყანდში**,
ლიდერობდა – მწარედ მოხვდა **სანამ ყბაში**.

მაწონს ჭამდა **კაპაბლანკა****
გადმოუგდო **კატამ „ბანკა“**.

ხმა დაირხა თამაშობსო **კარვაჰალი**,*****
წაიყვანა სტადიონზე **კარლამ ლალი**.

იაპონელ **კუსტურიცას**,
უნახია **ნუთუ რიწა**?!

---

* კაიზერი - კანცლერი (გერმანელი).
** კარპოვი - მოჭადრაკე (მსოფლიო ჩემპიონი).
*** კასიუსი - მოკრივე.
**** - კაპაბლანკა - მოჭადრაკე (მსოფლიო ჩემპიონი).
***** - კარვაჰალი - ფეხბურთელი.

უთხრეს ოპერის **კიაზოს**,
ზედმეტად ნუღარ **„კნიაზობს“**.

პირველად ნახა **კირილმა**,
ჩქარი მდინარე **ყვირილა**.

ფეხბურთელი, **კაპიტანი კაშია**,
რახანია **კაიკაცის კვალშია**.

ღვარძლიანი **კობახიძე**,
დაეწია **კობას ხიდზე**.

ხვიჩას ქება **კმარა**,
ახლა ვაქოთ **„კვარა“**.

<u>სკოლაში</u>
აიძულეს **კამერუნი**,
აუწიოს **კრამერს ყური**.



ტვინს გვიხვრიტავს **კავარაჯო**,
ფული უნდა **კარგად ვხარჯოთ**.

აღფრთოვანდა **კუკარაჩა**,
როცა ნახა **ტურფა რაჭა**.

მუდამ ახსოვს, მუდამ უყვარს **კეთილაძეს**,
ყველა ის, ვინც ატარებდა **კეთილ გზაზე**.

იკაჟებს და იძლიერებს ჯანმრთელობას **კუპრაძე**,
საცურაოდ, სათევზაოდ ხშირად დადის **კუს ტბაზე**.

გვეშრიტება **კაპილარი**,
ნულისაკენ **გარბის ლარი**.

კოხტაა მერი **კრამერი**,
ვერ შეედრება **სხვა მერი**.

გვეამაყება პატარა **კახი**,
რომ არ სჩვეოდა ბრუხი და **ბრახი**.

შრომას იწყებს **კურტანიძე**
და სასწრაფოდ **კურტანს* იძენს**.

გვეხვეწება **კარვაჰალი**,
მწვადი ვჭამოთ, **კმარა მხალი**.

მოგვიწოდებს **კარვაჰალი**,
ჩავეხუტოთ – **კმარა ხმალი**!

ძალიან უყვართ **ლაურა**,
ბრწყინვალე რომ აქვს **აურა.**

ღმერთს ეხვეწება **ლურსმანაშვილი**,
არ მოჰკლებოდეს **სუფრა გაშლილი**.

სტუმრად გვეწვია **ჩინელი ლი**,
თვალი დაადგა **შინელის** ღილს**.

---

* კურტანი - ბეჭებზე დასადგმელი, ტვირთის საზიდად.
** შინელი - იგივე მაზარა, ფარაჯა.

ვერ გაუგია **ლამზირას**,
ემსახურება **რა მიზანს**.

ქრისტეფორე **ლომთათიძეს**,
ტორი დაჰკრა **ლომმა თითზე**.

ასე გვითხრეს, ამაყია **ლაშხი**,
ჰყვარებია არაყი და **შაშხი**.

ენატრება რკონში* **ლიზის**,
ინახულოს კოშკი **პიზის*****

მარჩელო **ლიპის****
არა აქვს **ღიპი.**

ჩვენ, საყვარელო **პარმენ ლორია**,
ყველა სიკეთის **მაცნე გვგონია**.

ვერ გებულობს **ლაზარია**,
სად კაფე, სად **ბაზარია**.

ამბობს **ლიპარტელიანი** –
ღვინო **მიყვარს „თელიანი“**.

ტიტომ ტანჯვით დაამთავრა **რვა კლასი**,
ვერ გაიგო, თუ ვინ იყო **ლაპლასი**.*

---

* რკონი - სოფელი.
** ლიპი - მწვრთნელი (ფეხბურთის).
*** პიზა - ქალაქი იტალიაში
**** ლაპლასი - მათემატიკოსი.

ფეხბურთს ასწავლის **კახა ლორია,**
გუნდის სახელი **„პახტაკორია“**.

ძლიერ უკვრის **ლომჯარიას**,
მეფობისთვის **ლომს რად სჯიან**.

ლეო, ლეო, **შე ძველო**,
საწოლის ქვეშ **შეძვერო**.

არვის მოსწონს **მურმანი**,
გაუძღომი **გურმანი**.

სტუმრად თუ გეწვია „კაიფის **მარშალი**“,
სჯობია, მოიხსნა ბაიკის **თავშალი.**

გაგვაგებინა **მგალობლიშვილმა**,
რომ უცხო ბავშვი **მარომ იშვილა**.



ამბობენ, რომ **მდინარაძე**,
კარგად უკრავს **გიტარაზე**.

ძმაკაცური **მახარაძე**,
ხშირად მღერის **მაღალ ხმაზე**.

თუ გვსურს, არ ვიყოთ **დარდიანი**,
„გარდიანს“ გვთავაზობს **მარგიანი**.

---

* გარდიანი - პრესის ორგანო.

ნატრულობდა გურამ **მექანარიშვილი**,
სიცოცხლეში მუდამ **მედგას მხარში შვილი**.

ხეივანს უცქერს **მაზიაშვილი**,
ნერწყვს ყლაპავს, მოსწონს **ვაზი გაშლილი**.

მისანი **გარაყანიძე**,
„ნისანით“ **გასცდა ყანის ძნებს**.

არქიტექტორი **მიქაუტაძე**,
წინა ეზოში **ბიძას უდგამს ძეგლს**.

კახეთს ეწვია **მაჭავარიანი**,
ხახას მოარგო **ჭაჭა გვარიანი**.

რა ხანია **მაჩაბელი**,
მოსკოვიდან **მაშას ელის**.

კაპიტანო **მენაბდევ**,
ძარცვის საქმე **მე მანდე**.

პრემიაზე წარადგინეს **მესხი**,
მოუწონეს, უღიარეს **ლექსი**.

ასათიანი **მანიკა**,
ვერ შეაშინა **პანიკამ**.

მკლავებმარჯვე **მიშას**,
აყრევინეს **ქვიშა**.

ქურდობისთვის დაიჭირეს **მანჯგალაძე**,
შერცხვენილი, ხელშეკრული **მაგრა ლანძღეს**.

ვერა ვგებულობ – **მიშველაძე**,
თითს საჩვენებელს **მიშვერს რაზე**?!

კალისტრატე **მდინარიძე**,
კარებს უღებს **მდიდარ სიძეს**.

ყველა თამაშს ეტანება **მოდებაძე**,
ერთობა და სულ არ ფიქრობს **მოგებაზე**.

ატელიეს მიაკითხა **მოდებაძემ**,
ჭირვეულობს ტანსაცმელის **მორგებაზე.**

გაგიჟებულა **მიქაუტაძე**,
რატომ გიჟდება **მიშა თუთაზე**.

<u>~~გამოფენაზე:~~</u>
მოხარულია **მიქაუტაძე**,
კარგად გამოჩნდა **მიხა სურათზე**.

იქნებ ახსნას **მორჩილაძემ**,
ამბის თხრობა **მოვრჩი რაზე**.

მიკროფონთან დგას **სილვა მელია**,
მისგან კრიტიკულ **სიტყვას ელიან**.

ხატყვა უყვარს **მარინეს**,
დღეს ის ხატავს **ხარირემს**.

ჩხუბი ატეხა **მამალმა**,
რომ არ უშველა **წამალმა**.

კვლავ უქებენ **მდინარიძეს**,
გულუხვსა და **მდიდარ სიძეს**.

რეკორდსმენი მაშინ გახდა **მეტრეველი**,
როცა ტყეში დაიჭირა **მერვე გველი**.

რეჟისორებს მოეწონათ **მაკაროვი,**
შესთავაზეს ითამაშოს **მაკას როლი.**

ხმა შეაშველა **მამალმა**
ფინიას, რომ ჰყეფს **ხმამაღლა**.

ყოველდღე ვაჭრობს **შარლი მინდია**,
იქ სადაც ახლა **„მშრალი ხიდია“**.

იმედი არ აქვთ ასეთი **მერის**,
დილა-საღამოს რომელიც **მღერის**.

<u>რესტორანში:</u>
დაიკავეს **მაგიდა**,
სამმა დამ და **მამიდამ**.

ლაღია **მურადაშვილი**,
გული აქვს **მუდამ გაშლილი**.

6



პასს იძლევა **ნოდია**,
ძუნწი ბიჭი **როდია**.

ფეხი იტკინა **ნახაპეტოვმა**,
სადიაგნოზოდ **ნახა პეტროვმა**.

მოსახელე **ნეფერტიტის***,
ბაზარში დგას, **ნედლ თევზს ჰყიდის**.

მოთხრობას წერს **ნეკრასოვი**,
როცა ცოლი **კემსავს ქსოვილს**.

შვეს და აღზარდეს **ნათელაშვილი**,
მამულს აჩუქეს, **ნახეთ რა შვილი**.

ბედი სწყალობს **ნაკაშიძეს**,
სიძე მისთვის **ნაბადს იძენს**.

შეფი მაშველ **ნიორაძეს**,
პრიზად ორ თავ **ნიორს აძლევს**.

ლამაზ აფიშას ამშვენებდა **ნაპოლეონი****
კინოთეატრში წაიყვანა **ნატომ ლეონი**.

ცაზე თითქოს გამონათდა **ნეფერტიტი**,
იქითკენ აქვს გაშვერილი **მეფეს თითი**.

თითებს საოცრად **აცეცებს**,
სწრაფად პოულობს **ნამცეცებს**.

---

* ნეფერტიტი - ეგვიპტელი დედოფალი.
** ნაპოლეონი - ფრანგი მხედართმთავარი.

შეეკითხნენ **ოდიკაძეს,**
რა შეცდომა **მოსდით კაცებს**.

სიტყვა-ლაყაფით **ოდიშარია**,
ვერ შეედრება **ბორის შარიას**.

ისე აქებენ **ოქროპირიძეს**,
როგორც წარსულში **ბონდოს პირიმზეს**.

მათხოვარი **ოდიკაძე**,
ადრიანად **მოდის „ხარკზე“**.

ზოოპარკი ინახულა **ორლოვმა**,
მოეწონა და მოხიბლა **ორ ლომმა**.

დაცვაში იღწვის **ორბელიანი**,
იქ, სადაც ახლა **ბორდელი არი.**

მოლში მოკვდა **ოსმანოვი**,
რაც აღნიშნა **ბოსმა გლოვით**.

შესთავაზეს **ოდიკაძეს**,
მცველად დადგეს **ლორდის კარზე**.

უცბად დაქვრივდა **ორკოდაშვილი**,
ოჯახში დარჩა **ოქრო და შვილი**.

ხორცსავსეა **ორბანი,***
ბეჭები აქვს **ორგანი**.

---

* ორბანი – ევროპელი პოლიტიკოსი.

ფული აღარ აქვს **ომარის**,
თავს ვეღარ ირთობს **ყომარით**.

ასე ფიქრობს **ოფენბახი**:
ქალაქს – მეტრო, **სოფელს – ბაღი**.

გამოჯანმრთელდა **პაატა,**
გუშინ დატოვა **პალატა**.

გსურს იხილო **პაიჭაძე**?
მიდი ნახე, **არის ჭაზე.**

ღრუბელს ხატავს **პიკასო***,
თითქოს მთვარეს **პირს ბანსო**.

თათხავს, ლანძღავს მეზობელ კაცს **პუგაჩოვა**,
გაბრაზდა და ხელი სტაცა **პუგაჩს**** **ვოვამ**.

გამოცდაზე დასცინიან **პასტუხოვს**,
რომ ბილეთის შეკითხვებს ვერ **პასუხობს**.

დიდ კალათს წნავს ხანდაზმული **პაპასკირი**,
შვილიშვილმა მოუმარჯვა **პაპას წკირი**.

იღბლიანია **პეტროსიანი**,
საცხოვრებელი **ერგო მზიანი**.

---

* პიკასო - მხატვარი.
** პუგაჩი - დამბაჩა.

შეცდა მოყმე **პაპასკირი**,
რომ მოჰპარა **პაპას სტვირი**.

კვლავ დარწმუნდა **პელეგრინი**,
არ სჭირდება **პელეს* გრიმი**.

ბედნიერია **პეტროსიანი****,
ყოფა-ცხოვრება **ერგო სვიანი**.

ამტკიცებდა **პელეგრინი**,
ჰავა უყვარს **პელეს გრილი**.

ფიქრობს, ღელავს **ჟვანია**,
მიწებს გვართმევს **„ვანია“**.

სულ გადირია **ჟიჟილაშვილი,**
ვიღაცამ, უთხრა – **გიჟი გყავს შვილი**.

კლასში ციფრებს სწავლობს **ჟლენტი**,
კარგად იცის ლუწიც, **კენტიც**.

სხვა რამ არის **ჟოკეი**,
არ გეგონოს **ჰოკეი.**

ერის გმირი ჟანა **დარკი*****,
დაივიწყეს, არ ჩანს **რაკი**.

---

* პელე - ლეგენდარული ფეხბურთელი.
** პეტროსიანი - მოჭადრაკე (მსოფლიო ჩემპიონი).
*** ჟანა დარკი - ფრანგი ეროვნული გმირი.

დამსახურებულ **ჟოკეის**,
ჯერ არ უნახავს **ჰოკეი**.

ნარდს ვერ მოიგებს **ჟორა,**
თუ არ უბოძეს **ფორა**.

ფრთხილობს ბოსტანში **ჟორჟოლიანი**,
იცის სამწინილედ **ჯონჯოლი არი**.

ქალს წააგავს **ჟალინა**,
სჯობს, რომ ერქვას **გალინა**.

დაეძებენ **ჟან მარეს**,
იმ მხარეს და **ამ მხარეს**.

საშიშია **რუსუდანი**,
იმუქრება **რუსულ დანით**.

ობოლი ლერი **რაზიკაშვილი**,
იმედით ცოცხლობს, **რაკი ჰყავს შვილი.**

<u>აქციაზე</u>
დააპატიმრეს **როსტომაშვილი**,
ხელები ჰქონდა **„პროსტო“ გაშლილი**.

ჩვევას უქებენ **რობინ ჰუდს**,
რომ არ ატარებს **მოდის ქუდს**.

გაარკვიოს, ყველა შესთხოვს **რობინ ჰუდს**,
მკაცრი მეფის მოიგებენ **როდის გულს**?

საქმის კაცი **რობაქიძე**,
სასმელს დალევს, **როკვას იწყებს**.

სულ გაგიჟდა **რამიშვილი**,
აგვიანებს **ღამით შვილი**.

მშვენიერი **რობერტსი**,
მაკრატელით **ღობეს ჭრის**.

კვლავ საყვედურობს **კარას რაული**,
რომ არ აჩვენა **ხარაგაული**.

კოლეგებთან საუბრობდა **რეზერფორდი**,
„ჩემი აზრით, არ ეყოფა **რეზერვს ფონდი**.

ბრძოლას წარმართავს **სუსლოვი**,
გაანადგუროს **სურს ლვოვი**.

კერძებს უწუნებს შეფებს **სტალინი**
და სანელებლად ურჩევს **ვანილინს**.

სიმაღლეზე ასასვლელად **სანიკიძემ**,
შეიძინა, შეამზადა **სამი კიბე**.

ღრმად გადამალეს **სტეფანიანი,**
არ მიაყენოს **სვეტას ზიანი**.



ქუჩას გასცქერის **სამველი***,
დათვალა ჩამვლელ-**ამვლელი**.

ეზოსაკენ გაემართა **სუმბატი**,
ხედავს, ბუჩქთან შეეჯახა **კუს ბატი**.

კერძს დააკლდა **საწებელი**,
მით შემცირდა **სარგებელი**.

გააფრთხილეს **სარჯველაძე**,
არ შემოგვხვდე **სადმე, გზაზე**.

ჟურნალისტთან ბაქი-ბუქობს **სანიოლი****,
მოვიგებთო ანგარიშით **სამით-ნოლი**.

კახეთს მიდის **სუფლიორი**,
ინახულოს **სურს იორი**.

ცნობილაძე **სანდრო**
კაცი არის **სანდო**.

გაიხარა შოთა **სარაჯიშვილმა**,
პალატაში როცა **ნახა დისშვილმა**.

ფეხბურთელი **სტანჩუსი*****
არის მცველის **სტატუსით**.

გარუჯვას ლამობს **ეთერ სირაძე**,
ხშირად ნებივრობს **ცხელ-ცხელ სილაზე**.

---

* სამველი - კაცის სახელი (სომხური).
** სანიოლი - მწვრთნელი (ფეხბურთის გუნდის).
*** სტანჩუსი - ფეხბურთელი (რუმინელი).

<u>მატარებელში</u>
გაოცებით კითხულობდა **საბრინა***,
გამარკვიეთ – სად კუპე და **სად ბინა**?

ყვირის, გაჰკივის კოხტა **საბრინა**,
რაც მაქვს ის მომწონს, არ მსურს **სხვა ბინა**.

ფოტოგრაფთან მოკალათდა **სურამელი**,
დაიტანჯა, რახანია **სურათს ელის**.

ხანძრის შემდეგ ამშვიდებენ **საბრინას**,
არ იტირო, მალე მოგცემთ **სხვა ბინას**.

საკონკურსოდ მასალები წარადგინა **სერგომ**,
ამაყია, გაიხარა – გამარჯვება **ერგო**.

ამაყ-ტრაბახობს **სარჩიმელია**,
რომ არ შეუშვა **სახლში მელია**.

პრეზიდენტად აირჩიეს **სმისლოვი****,
ჭაბუკებს რომ განუმარტოს **სმის როლი**.

გზას ვერ იკვლევს **სიგალი*****,
ითხოვს, მისცენ **სიგნალი**.

ყოჩაღია **სეფაშვილი**,
აღუზარდა **სტეფანს შვილი**.

---

* საბრინა - მოდელი, მსახიობი.
** სმისლოვი - მოჭადრაკე (მსოფლიო ჩემპიონი).
*** სიგალი - მსახიობი.

ვერ დაცხრება **სალამანდრა**,
არ მიხედავს **სანამ სანდრა**.

ყოველდღე დოდიკ **სხირტლაძე**,
ვარჯიშობს, მოდის **სისხამზე**.

აღმერთებენ **სიჭინავას**,
მუდამ აფრქვევს **ნიჭის ლავას**.

დურგალია **საღლიანი,**
საქმე უყვარს **სარფიანი**.

ყოჩაღია **ტიციანი**,
იცის ინი, **იცის ანი**.

ბრაზი იპყრობს **ტოლიკას**,
მიახეთქა **„სტოლი“ სკამს**.

შუბი აძგერა **ტრისტანმა**,
ვერ შეაშინა **მტრის ტანმა**.

მოპოეტე **ტრიპოლსკი**,
წამდაუწუმ **სტრიქონს ცვლის**.

ტიტოს უყვარს **ტომატი**,
ტაბაკა და **ტოლმაც კი**.



ამერიკელი **ტრუმენი**,
ყოფილა ოდნავ **ყრუ „მენი“**.

დაიღალა **ტრაპატონი**,
აწვალებს და **სტანჯავს ტონი.**

ხელოსანია **ტოლიაშვილი**,
სხვენში ჰქონია **ტოლი გაშლილი**.

დიდი მწერალი **ტოლსტოი,**
ბევრის ყოფილა **ტოლ-სწორი**.



დაგვაჯეროს სურს **ტაბიძეს**,
რომ არასოდეს **ჩადის მზე**.

ბარკალაი **დე ტოლი**,*
საქმეს წყვეტდა **ზეწოლით**.

არ აცდენდა ბალ-კონცერტებს **ტორონჯაძე**,
ჟინს იკლავდა, გიუდებოდა **მხოლოდ ჯაზზე.**

ულოცავენ **ტრაპაიძეს**,
ცნობადობას **სწრაფად იძენს**.

ბედნიერია **ტატიშვილი**,
სახლში იზრდება **ათი შვილი**.

ყველას უყვარდა მიხეილ **ტალი**,**
მუდამ ნიკესკენ*** ეჭირა **თვალი**.

დარდი აწუხებს **მისან ტარიელს**,
ვერ ეგუება **ქისას ცარიელს**.

ეკითხებიან **მიზეზს ტარიელს**,
რატომ ვერ იტანს **ჯიბეს ცარიელს**.

---

* დე ტოლი - ფრანგი გენერალი.
** ტალი - მოჭადრაკე (მსოფლიო ჩემპიონი).
*** ნიკე - ქალღმერთი (გამარჯვების).

ყვირის, ბობოქრობს **უკლება**
და ითხოვს მართვის **უფლებას**.

რუსებს ჰყავდათ **უსტინოვი**,
რომ შეარქვეს **„კუსტის“ ლომი**.

ადმირალი **უშაკოვი**,
ამბობს, ძლიერ **უყვარს ფსკოვი**.



გამოწვრთნილმა **უბილავამ**,
მოაგვარა **უბნის დავა.**

მადლს ვუფასებთ **ურუშაძეს**,
არ უტოვებს **ურჩხულს შანსებს**.

დიდმა მხატვარმა **უგრეხელიძემ**,
მზერა მიაპყრო **უგრძეს ქედის ხედს**.

ტრაბახობს და ცრუპენტელობს **უშანგი**,
როცა ამბობს, ძლიერ მოსწონს **ბუს ჰანგი**.

მალე გნახავთ – იწერება **უსტინოვი**,
მის სტუმრობას მოთმინებით **უცდის შოვი***,

მუხლებზე დგას **ურფანოვი**,
ევედრება **უფალს – მგონი**.

---

* შოვი - კურორტი საქართველოში.

სმენას უხმობს **ოპარინი**,
შეუერთა **ბოხ ხმას კრინი**.

კვლავ ავადმყოფობს **ულიანოვი**,
თავგამოდებით **უვლის ალოვი**.

ვ

იპოლიტე **ფაცია**,
საყვარელი **კაცია.**

უცხოელებმა **სოფო ფილფანი**,
მონათლეს, როგორც **ოქროს მიმტანი.**

ნახეთ, ხალხო, დღეს რამდენი **ფიფქია**,
სიხარულით გვატყობინებს **ფიქრია**.

შემოდგომის ტყეს უცქერის **ფელიქსი**,
აქ მწვანე ფერს კვლავ ყვითელი **ფერი სცვლის**.

ადრე დილით ვენახშია **ფარნავაზი**,
იმარჯვა და სულ ბოლომდე **გასხლა ვაზი**.

ორღობიდან მოღწეული **ხბოს ხმაზე,**
ჭიშკრისაკენ სწრაფად გარბის **ფოფხაძე**.

მიხო უცქერს **ფილიპოვს**,
ვინც კვლავ ღიმით **ქილიკობს**.

უცხოელი პორტრეტს უცქერს **ფიროსმანის**,
მოეჩვენა – რომ ჩაუკრა **თითქოს თვალი**.

საოცრად უყვართ ვინმე **ფელიქსი**,
ვინც რკინის სეიფს შიშველ **ხელით ხსნის**.

ბევრ ოქროს ფლობს **ფიშერი**,
ოქროც სურს და **გიშერიც**.

ვულკანის ახლოს **ფირცხალავა**,
ლამის მოაშთო **ფიცხმა ლავამ**.

ჟღერადობა **ფერნანდესი**,
მსოფლიოში **ყველგან გვესმის**.

ნერვიულობს **ფერნანდესი**,
არ დაბომბოს **მტერმა ჰესი***.

ისე ფარფატებს **ქეთი ფიფია**,
თითქოს ახალწლის **თეთრი ფიფქია**.

ალექსანდრე **ქავთარაძე**,
გვესმის მღერის **ქალთა ხმაზე**.

გაოხრებულ ვენახს უცქერს **ქამხაძე**,
გუშინ სეტყვამ არ დატოვა **„ქვა ქვაზე“**.

განუმარტეს ეთერ **ქვილითაიას**,
სუსტ არსებას, თევზის **ქვირითს, თავი აქვს**.

---

* ჰესი - ჰიდროელექტრო სადგური.

კარგად იციან, **ქვილითაია,**
უკვე დიდიხნის **ქვრივი ქალია**.

გამოჩნდა ვინმე **ქურხული**,
ვინც „შეაწერა“ **ქურდს ფული**.

გამარჯვებულ **ქორიძეს**,
პრიზს მისცემენ, **მგონი, დღეს**.

ტრიბუნასთან იდგა თამარ **ქალდავა**,
შეაჩერეს, არ აცალეს **ქალს დავა**.

ექსკურსიამძღოლ **ქორიძეს**,
ეამაყება **გორი დღეს**.

ნადირობის მოყვარული **ქამადაძე**,
ბავშვობიდან ოცნებობდა **ქამანდაზე***.

ამბობს თამარ **ქანთარია**:
ვერ ვიკადრებ **ქმართან გრიალს**.

მოგვიწოდებს **ქავთარაძე**,
არ ვიაროთ **ქალთა ხმაზე**.

გათამაშდა **ლატარია**,
წაგებას წუხს **ქანთარია**.

ტყის მმართველი **გახდა ქალი**,
კაცს არ მისცეს **გასაქანი**.

---

* ქამანდა - ცხოველების დასაჭერი ყულფიანი თოკი.

<u>სამორინეში</u>



თუ გაუჭირდა **ნონა ქარჩავას**,
ფულის მაგივრად **ფსონად ქმარს ჩავა**.

თავგასული **ქურდაძე**,
ნატრობს ჰქონდეს **ქუდად მზე**.

ნება დართეს **ღამბაშიძეს**,
გაუზომოს **ღაბაბს სიგრძე**.

ზურაბს უყვარს გენერალი **ღვანია**,
თავის დროზე, მას რომ მისცა **„ზვანია“**.

ყურცქვიტა და ენამწარე **ღვალაძე**,
აზრს გამოთქვამს დღეს არსებულ **ღალატზე,**

მატარებლის კუპეში ზის **ღვამიჩავა**,
კარგად იცის, რომ ბათუმში **ღამით ჩავა.**

დაეძებენ, ვერ იპოვეს **ღვინაძე**,
უკვე ოთხჯერ მიაკითხეს **ბინაზე**.

ზედმეტს არ ითხოვს **ღოღობერიძე**,
ჩვენს ბავშვებს ჰქონდეთ **ოღონდ ბევრი მზე**.

ვერ გებულობს მოსიგარე **ღლონტი**,
რატომ სტკივა ასე ხშირად **ყრონტი**.

ყველას უკვირს ავადმყოფი **ღადანიძე**,
მოუვლელ და მთლად გადამხმარ **ბაღს რად იძენს**.

წარსულში სპორტსმენ **ღონღაძეს**,
ჰგონია, იცნობს **გონგს ხმაზე**.

ხარობს, ამაყობს **ღარიბაშვილი**,
რომ აღსაზრდელი **არის რვა შვილი**.

მომღერალი **ყიფიანი**,
ადრე იყო **ლიყიანი**.

მერად „დასვეს“ **ყვავილოვი**,
რის შემდეგაც **ჰყვავის ლვოვი**.

სულ ბურტყუნებს **ყარამანი**,
ითხოვს ხარჩოს – **კმარა მანი**.

მონადირე **ყანჩაველი**,
ტბის ნაპირზე **ყანჩას ელის**.

შეკრებაზე **ყუფარაძე**,
გამოცხადდა **ზუსტად რვაზე**.

პოლიკარპე **ყენიას**,
მომღერალის **ყელი აქვს**.

ფრინველებს სწავლობს **ყორანაშვილი**,
დღედაღამ დასდევს **ყორანს არშინით**.

გაბრაზებულა **ყორანი**,
რომ არ ასწავლეს **ყომარი***.

მთელი დღეა მონადირე **ყანჩაველი**,
ტბასთან ფრთხილი ჩასაფრებით **ყანჩას ელის**.

როგორ სძინავს **შარიქაძეს**,
ჩრდილოეთის **ქარის ხმაზე**?!

ემდურებიან **შაპიროს**,
გამუდმებით რომ **შაყირობს**.

ვერ შეაყვარეს **შაკირას**,
იუმორი და **სატირა**.

ჩვენო კარგო **შენგელიავ**,
მედლით ხელში **შენ გელიან**.

რას იფიქრებდა **მერი შილდელი**,
თუ მას აქებდა **ედიტ შინდლერი**.

„იღბალაა“ **შერვაშიძე**,
საოცარი **შეხვდა სიძე**.

შემთვრალ **ონისე შონიას**,
ცაზე **ორი მზე ჰგონია**.

---

* ყომარი - აზარტული თამაში კამათლებით.

ცხიმმა მოხიბლა დიდი გურმანი **ბადრი შონია**,
თუმცა ვერ მიხვდა, ეს ზეთია, თუ **ბატის ქონია.**

გამწარდა და გაბოროტდა **შუბითიძე**,
ღრმა ჭრილობა მიაყენა **შუბით სიძეს**.

მოუწოდებს **შტრაუსი***,
ფეხი სწრაფად **გაუსვით**.

მტერს შეასკდა **შუბითიძე**,
გადუმტვრია **შუბი თითზე**.

ტრიბუნისკენ მოუხმობენ **შაპიროს**,
როგორც წესი, ის ყოველთვის „**შაყირობს**“.

მწვადს აღმერთებს, მწვადი უყვარს **შავგულიძეს**,
ბაზრობაზე რამდენიმე **შამფურს იძენს**.

ქუჩაში ნახეს **შაუმიანი**,
ტუჩები ჰქონდა **შაურმიანი**.

გაკაპასდა **შაკირა****,
ვეღარ „გაი**შაყირ**ა“.

ეჩხუბება საყვარელ ქალს **შუმახერი*****,
მე არ მომწონს, შეუცვალე **შუბას ფერი**.

ბაღში სეირნობს **შვარცენეგერი**,
კონად შეკრიბა **ჩვარზე ნეკერი******.

---

* შტრაუსი - კომპოზიტორი.
** შაკირა - მომღერალი.
*** შუმახერი - ავტომრბოლელი.
**** ნეკერი - ნორჩი ტოტი.

კვლავ უწუნებენ **შაკირას**,
იუმორსა და **სატირას**.

ყველამ იცის, **შუმახერი**
ვახშმის შემდეგ **ჩუმად მღერის**.

გამოიძახეს **შანშიაშვილი**,
მალე მოდიო – **შარშია შვილი**.

გამგედ დანიშნეს **შათირიშვილი**,
ულამაზესის **ხათრით ძმისშვილის**.

პატარობისას **შარმანაშვილი**,
დაბაჯბაჯებდა **შარვალგაშლილი**.

დაარწმუნეს **ჩივაძე**,
რომ არა აქვს **თივას რძე**.

სურს მოკრივე **ჩოხარიძეს**,
ეცვას შავი **ჩოხა რინგზე**.

მოჭიდავე **ჩარკვიანი**,
ხან შლეგია, **ხან – ჭკვიანი**.

ჩვევადა აქვს **ჩაფიძეს**,
ყოველ დღე სვამს **ჩაფით რძეს**.

ბაღ-ვენახში დაფუსფუსებს **ჩიგოგიძე**,
მოხნა, თხარა და ჩაარჭო **ჭიგო რიგზე**.

ოფლში ცურავს, დაიქანცა **კახა ჩანქსელიანი**,
მძიმე ტვირთის გადაზიდვა, **კარგად ჩანს ძნელი არი**.

დაიღალა **ჩართოლანი**
და შრომაში **ჩართო ნანი**.

სჯერა მინისტრ **ჩანჩიბაძეს**,
ვერ აშენებს **ჩარლი ბაზებს**.



მესაქონლე **ჩოხელი**,
ამ წელს მრავალ **ხბოს ელის**.

დაიტანჯა **ჩიქოვანი**,
იარა აქვს **ჩირქოვანი**.

განუმარტეს – ავტორია **ჩარკვიანი**,
მოიხიბლა კარგი ლექსით **ჩარჩი ანი**.

ვერ ჩაეტია **ჩაფხუტი**,
ითხოვს მიართვან **სხვა ყუთი**.

ამბობენ, რომ ყოჩაღია **ჩალაური**,
სადაც ეტყვი, იქ მოგიტანს **ჩალას ურმით**.

თუთუნს უშლიან **ჩიბურდანიძეს**
და კვლავ ირჩევენ **ჩიბუხს სამიზნედ**.

ბეჩავებო, მონებო და **ჩაგრულნო**,
ისწავლეთ და წაიმღერეთ „**ჩაკრულო**“.

შეგახვედრებ **ციცინოს**,
ოღონდ, გთხოვ, **არ იცინო**.

ბაზრად **ცალქალამანიძეს**,
ტურფა **ცანგალას ქალი სცემს**.

დაიღალა **ცურინოვი**,
შავი ძროხის **ცურის წოვით**.

უყვართ თემურ **ცაგურია**,
ის ესტრადის **მსახურია**.

შვილიშვილებს ეკითხება **ცარციძე**,
რომელი გსურთ, ქოთნისა თუ **ვარცლის რძე**.

ვარიგებთ, ვურჩევთ, **მადამ ცანავას**,
სარეცხს ნუ გაფენს, **მანამ ცა ნამავს**.

დააკავეს **ცეცხლაძე**,
საქმე გახსნეს **ცხელ კვალზე**.

სულ გაგიჟდა **ცომაია**,
არაყი სვა **ცოლმა იამ**.

თუ შენ არ ახვალ – **ცაავა**
ხეზე შენს ნაცვლად **სხვა ავა**.

მოსწონთ მამუკა **ცერაძე**,
ფესვს რომ იღრმავებს **კერაზე**.

მოსწონთ და უყვართ **ცაბაძე**,
ჰანგებს ქარგავდა **ცამრგვალზე**.

თუ გსურს გაიცნო **ცერცვაძე**,
გადაურეკე „**ცხელ ხაზზე**“.

მოთმინება გაგაოცებს **ცურტაველის**,
რახანია მოლარისგან **ხურდას ელის**.

სიმღერის დროს რაღაც უჭირს **ციხისთავს**,
უდროოდ და უცნაურად **იცვლის ხმას**.

რაღაცა სჭირს **ციხისთავს**,
არ ღებულობს **მიმკითხავს**.

ძმისშვილი მყავს **რუსუდანი**,
ძლიერ უყვარს **მუკუზანი***.

კვლავ შეურაცხყვეს **ძულიაშვილი**,
ვერ დაიწყნარა **სული აშლილი**.

წრფელ პირობას კვლავ ასრულებს **ძაბახიძე**,
მეუღლისთვის ულამაზეს **ზამბახს იძენს**.

ლოტბარია ლეონარდო **ძერჟინსკი**,
უფრთხილდება ლომის ბასს და **ძერის კრინს**.

---

* მუკუზანი - სოფელი კახეთში.

უკვირს, ხედავს **ძუკაევი**,
რომ ერთობა **ძუკნა კევით**.



ვინ გამოიჭერს **ძნელაძეს**,
კონკურსი არის **ძებნაზე**.

მდინარესთან **ძაბახიძე**,
ფიქრობს, როგორ **გავა ხიდზე**.

პაემანზე მიდიოდა **ძველაია**
და მოწყვიტა თავის ბაღში **ყველა ია**.

ბაღში მიტო **ძაგნიძეს**,
უჩვენებენ **დაფნის ხეს**.

ალექსანდრე **ძიძიგური**,
„ბაირამობს“ **ბიძის ფულით**.

გვარი რომ აქვთ **ძამაშვილი,**
ამაყობენ **მამაც, შვილიც**.

მეზობლის ბაღში მუშაობდა **ძორელაშვილი**,
გაიპარა და მიატოვა **ღობე აშლილი**.

ღარიბია **ძამუკოვი**,
რაც არა აქვს, **რას უპოვი**?

ყველა იცნობს **ძამუკოვს**,
ახსოვთ მას რაც **ძმამ უყო**.

ხარობს, ამაყობს **ძირკბილაშვილი**,
როცა სუფრა აქვს **ხის ძირს გაშლილი**.

აინტერესებთ ბერტა **წიწავა**,
თავის საქმეში ბევრად **წინ წავა**?

რუსუდანი **წეროძე**,
ადის კაცხის* **წვეროზე**.

აფთიაქში **წაველიძე**,
ხშირად მიდის, **წამლებს იძენს**.

შიგ რომ იყო ბუმბერაზი **წაქაძე**,
გაუჭირდათ აეწიათ **საკაცე**.

დაიღალა **წერეთელი**,
გაშლილ ხორბლის **წრეზე თელვით**.

იცის მადამ **წვერავამ**,
სესხის ვადა **წელს გავა**.

საახალწლოდ ეგულება **წივწივაძეს**,
მშვენიერი წახნაგებით **წიწვი ნაძვზე**.

მჭამელია **წიკლაური**,
არა ყოფნის **წიწკნა პური**.

სოფლის კლუბში **წიქარიძეს**,
ჯდომა უყვარს **წინა რიგზე**.

ბაღ-ვენახში **წულაია**,
სადესერტოდ **წურავს ქლიავს**.

---

* კაცხი - სალოცავი მაღალ კლდეზე (დას. საქართველოში).

ტკბილს არ მისცემ **წულუკიძეს**?
მაშინათვე **წუწუნს იწყებს**.

ვერასოდეს მოახერხებს **წილოსანი**,
შეიყვაროს და შეაქოს **ფიროსმანი**.

სულ სამი წლის **ჭკუასელს**,
ჯერ ვერ უწყობს **ჭკუა ხელს**.

მეზობლის ქალ **ჭყონიას**,
ხმაში წყნარი **ტონი აქვს**.

სოფლის პატარას, მოზარდ **ჭელიძეს**,
პატივს აგებენ, როგორც **მჭედლის ძეს**.

პრინციპულია **ჭონქაძე**,
არასოდეს დებს **ფსონს ქვაზე**.

იზაბელა **ჭირაქაძე**,
მუდამ მღერის **პრიმა ხმაზე**.

ღრიალებს და იგინება **ჭუბაბრია**,
ნარჩენებს რომ სართულიდან **ჩუმად ყრიან**.

სცენარს გაეცნო **ჭიაურელი**,
უკვირს, რად ადგას **ჭიას ულელი**.

ადრიანად აფუსფუსდა **ჭიჭინაძე**,
გარეცხა და გადაფინა **ჭინჭი ბზაზე**.

დროზე შევზრუდოთ **ჭაბუკიანი**,
რომ არ აღმოჩნდეს **ტაბუ გვიანი**.

პრობლემა აქვს **ჭანკოტაძეს**,
ვერ იყენებს **ბანკომატებს**.

ცხოველების მოყვარულმა **ჭაჭიამ**,
შეიფარა უპატრონო **ბაჭია.**

დაავალეს **ხარაძეს**
უპატრონოს **ხარაზებს**.

ბედნიერია **ხინჩიკაშვილი**,
მის მედალ-პრიზებს **ითვლის რვა შვილი**.

საოცარი მეურნეა პოლიკარპე **ხახუბია**,
დიდ ეზოში ცხენი, ვირი, ღორი, ძაღლი, **თხა უბია**.

დაითანხმეს **ხარებავა**,
გაუზომოს **ხარებს გავა**.

ტკივილს უძლებს **ხარაბაძე**,
ფიქრობენ, რომ **ხვალაც გასძლებს**.

ვერ გაუგეს **ხაზარაძეს**,
უცნობ ნიშნებს **ხაზავს რაზე?**

კახელი ნენსი **ხარატიშვილი**,
ყოფილა მესხი **ხარატის შვილი**.

ბევრსა წვალობს **ხოჭოლავა**,
ვერ მოარგო **ხოჭოს ჰავა.**

ფული ბევრი აქვს **ამბროს ხუნდაძეს**,
მარკეტში უარს **ამბობს ხურდაზე.**

ცაუკაცი მაცი **ხვიტია**,
გაბედული და **ცქვიტია**.

ვერა მშვიდდება **ხვადაგიანი**,
რადგან მოესმის **ხმათა გრიალი**.

სპეცრაზმელი და მეხანძრე **ხაბარელი**,
თავის გამოჩენის მიზნით **ხანძარს ელის**.

ცქმუტავს ნუკრი **ჯანაშია**,
ჩვეულებრივ – **ძაან შია**.

მერქანს რანდავს **ჯუღელი**,
„გამოშანსა“ **უღელი**.

ხარობს ჯუნა **ჯაბაური**,
მოითხოვა **ჯაბამ პური**.

უთხრეს თამარ **ჯაბახიძეს**,
რომ კალათში **ზამბახიც დევს**.

მეთევზე ჰყავს მეზობელი **ჯალაბაძეს,**
კარგად იცის, რომ დაეძებს **ჯაბა ბადეს**.

ბოლო წუთმა ჩამორეკა **ჯანაევის**,
ეშაფოტზე ჩუმად ზის და **ჯალათს ელის.**

ემშვიდობება სოფელი **ჯუბოს**,
სასაფლაოსკენ მისდევენ **კუბოს**.

აჩქარებით ადის მთაზე **ჯინჯოლავა**,
შეეცდება შეაჩეროს **ვინძლო ლავა**.

<u>ბაზარში</u>
მსხალი სურს „**გუნაშაური**“,
დააკლდა **ჯუნას შაური**.

დღეს მოკრივე **ჯაფარიძეს**,
ელის დიდი **ჯაფა რინგზე**.

კვლავ დეზერტირობს **ჯაშიაშვილი**,
მან არ გაუშვა **ჯარში არც შვილი**.

კლინტონის ცოლი **ჰილარი**,
პერსონა არის „**ჯიგარი**“.

გვამხნევებს კლინტონ **ჰილარი**,
საუკეთესო **წინ არი**.

ვინც კი იცნობს **ჰიპოკრატეს**,
იცის რამდენ **სითბოს გვმატებს**.



წონით ტკბება **ჰამლეტი**,
ხან ნაკლებით, **ხან მეტით**.

შეარცხვინეს **ჰონორი***,
რომ ვერ მოწნა **გოდორი**.

ბაღში გამოჩნდა **ჰერა**,
აჩქარდა გულის **ძგერა**.

ვუცქერ ჭარმაგ **ჰებეს**,
სულ არა ჰგავს **ბებერს**.

უცბად გამოჩნდა **ჰადესი**,
სად ქვესკნელი და **სად ჰესი****.

აღნაგობით სქელი არის **ჰარისონი**,
ასე ვფიქრობ – რომ იქნება **ხარის წონის**.

„იბრიქება“ **ჰამილტონი**,
ყველას ჯობნის **ტანის წონით**.

მომღერალი **ჰამილტონი**,
ბევრსა ჯობნის **გამის ტონით**.

ნიჭიერია **ჰამლეტი**,
უყვარს შაირიც, **პამფლეტიც*****.

მოჭიდავე **ჰარისონ**ი,
თავს იწონებს **ხარის წონით**.

---

* ჰონორი, ჰერა, ჰებე, ჰადესი - მითოლოგიური პერსონაჟები.
** ჰესი – ჰიდროელექტრო სადგური.
*** პამფლეტი - პუბლიცისტური ნაწარმოები.



ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდნიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 50-ზე მეტი წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში.